ა(ა)იპ ,,ბათუმის განვითარების ფონდის“
საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი № 1–1

ქ. ბათუმი 10.03.2015 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ავთანდილ დარჩია ა(ა)იპ ,,ბათუმის განვითარების ფონდის" თავმჯდომარე;
საკონკურსო კომისიის წევრი (მოადგილე): ელგუჯა ხაზარაძე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი (მოწვეული);
საკონკურსო კომისიის წევრი: ამირან შაქარაძე ა(ა)იპ ,,ბათუმის განვითარების ფონდის“ კონსულტანტი;
საკონკურსო კომისიის წევრი: გიორგი კაცაძე ა(ა)იპ ,,ბათუმის განვითარების ფონდის“ კონსულტანტი;

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი: კონკურსის მეშვეობით ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოების ჭიშკრების დამზადება, აღდგენა/რესტავრაციასთან დაკავშირებით დიზაინის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ტექნიკური დავალების შედგენის მომსახურების შესყიდვის განცხადება.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ ავთანდილ დარჩიამ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების, საკვალიფიკაციო მონაცემების და საკონკურსო დოკუმენტაციის ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოების ჭიშკრების დამზადება, აღდგენა/რესტავრაციასთან დაკავშირებით დიზაინის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ტექნიკური დავალების შედგენის მომსახურების შესყიდვის დოკუმენტაცია.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოების ჭიშკრების დამზადება, აღდგენა/რესტავრაციასთან დაკავშირებით დიზაინის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ტექნიკური დავალების შედგენის მომსახურების შესყიდვის დოკუმენტაციის მიზნით წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტები.

2. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2015 წლის 30 მარტის10:00 სთ-დან 31 მარტის17:00 საათამდე პერიოდით.

3. საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება 2015 წლის 31 მარტის 17:00 საათზე.

4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ბათუმის განვითარების ფონდის“ (მის: ქ. ბათუმი ლუკა ასათიანის 25) მისამართი.

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ – გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ავთანდილ დარჩია

საკონკურსო კომისიის წევრები: ელგუჯა ხაზარაძე

ამირან შაქარაძე

გიორგი კაცაძე